ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #01/156

(CPV: 50100000 -სატრანსპორტო საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები)

08 აგვისტო, 2016 წელი

თბილისი

ერთის მხრივ - სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი დონაძის** სახით და მეორეს მხრივ ი/მ **მურთაზ რუსეიშვილი** (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს-1'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია, საკუთარი სახსრებით საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბალანსზე არსებული ავტომანქანა ,,მიცუბიში დელიკა CLR 2.4" სახელმწიფო ნომრით - EKA 559 (ოზურგეთის წარმომადგენლობა) შეკეთება და მასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ცხრილის შესაბამისად).

	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი
1	ძრავის ზეთი	ლიტრი	4	15	60
2	ზეთის შეცვლა	ცალი	1	10	10
3	ძრავის ფილტრი	ცალი	1	15	15
4	გადაცემათა კოლოფის და ხიდების ზეთი	ლიტრი	5	16	80
5	გადაცემათა კოლოფის და ხიდების ზეთის შეცვლა	ცალი	1	20	20
					185

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 185 (ასოთხმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია -ქ. ოზურგეთი, ხოლო მიწოდების თარიღი – 08.08.2016წ